ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის სამართლებრივი ანალიზი და მცირე და საშუალო ბიზნესის დაცვის მნიშვნელობა

მარიამ მაისურაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო(ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ გველესიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისა.

მარიამ მაისურაძე 20.01.2026

აბსტრაქტი

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კონკურენციის სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და კომპლექსურ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მცირე და საშუალო ბიზნესის დაცვის კონტექსტში. მცირე და საშუალო საწარმოები, მათი შეზღუდული ფინანსური, ორგანიზაციული და სტრატეგიული რესურსებიდან გამომდინარე, მეტად მოწყვლადნი არიან დომინანტური ეკონომიკური აგენტების მხრიდან განხორციელებული ანტიკონკურენტული ქმედებების მიმართ. სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე, წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სამართლებრივი ანალიზი და მისი გავლენის შეფასება მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე საქართველოსა და ევროკავშირის კონკურენციის სამართლის შედარებით კონტექსტში.

ნაშრომში გაანალიზებულია დომინანტური მდგომარეობის ცნება, შესაბამისი ბაზრისა და საბაზრო ძალაუფლების დადგენის კრიტერიუმები, აგრეთვე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების პრაქტიკაში გავრცელებული ძირითადი ფორმები, მათ შორის არასამართლიანი ფასების დაწესება, ფასისმიერი დისკრიმინაცია და ფასდათმობები, ექსკლუზიური გარიგებები, მარჟის შეზღუდვა, მიწოდებაზე უარი და მიბმა. კვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნული ქცევები არა მხოლოდ არღვევს ბაზრის კონკურენტულ სტრუქტურას, არამედ ქმნის სისტემურ ბარიერებს მცირე და საშუალო ბიზნესის ბაზარზე შესვლისა და განვითარებისათვის, ამცირებს მათ ინოვაციურ პოტენციალს და ზრდის ბაზრიდან განდევნის რისკს. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს კონკურენციის სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკის შეფასებას ევროკავშირის გამოცდილებასთან შედარებით. დადგინდა, რომ საქართველოში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შეფასება ხშირად ეფუძნება ფორმალისტურ მიდგომებს და ნაკლებად არის ორიენტირებული ქმედებების

რეალურ ეკონომიკურ ეფექტებზე. ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ეფექტებზე ორიენტირებული ანალიზის გაძლიერებას, საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის შემდგომ ჰარმონიზაციას ევროკავშირის სტანდარტებთან და მცირე და საშუალო ბიზნესის დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერებას. ნაშრომი ასკვნის, რომ ეფექტური კონკურენციის სამართალი არ წარმოადგენს მხოლოდ დომინანტური ეკონომიკური აგენტების კონტროლის ინსტრუმენტს, არამედ მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმს ეკონომიკური სამართლიანობის, ინკლუზიური ზრდისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. მცირე და საშუალო ბიზნესის დაცვა დომინანტური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან ნიშნავს კონკურენტული გარემოს ჯანმრთელობის შენარჩუნებას, რაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების და ევროკავშირთან დაახლოების პროცესის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად გამოყენებული იქნება ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, სისტემური კვლევის მეთოდი, სიტუაციური ანალიზის მეთოდი.

საკვანძო სიტყვები: დომინანტური მდგომარეობა; დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; კონკურენციის სამართალი; მცირე და საშუალო ბიზნესი.

The abuse of a dominant position constitutes one of the most significant and complex institutions of competition law, the practical relevance of which is particularly evident in the context of protecting small and medium-sized enterprises (SMEs). Due to their limited financial, organizational, and strategic resources, SMEs are especially vulnerable to anti-competitive conduct carried out by dominant economic operators. Against this background, the purpose of the present master's thesis is to provide a legal analysis of the abuse of a dominant position and to assess its impact on the competitiveness of SMEs within a comparative framework of Georgian and European Union competition law.

The thesis examines the concept of dominance, the criteria for defining the relevant market and assessing market power, as well as the main forms of abuse commonly encountered in practice, including unfair pricing, price discrimination and rebates, exclusive dealing arrangements, margin squeeze, refusal to supply, and tying. The research demonstrates that such practices not

only distort the competitive structure of the market but also create systemic barriers to market entry and expansion for SMEs, reduce their innovative potential, and increase the risk of their exclusion from the market.

Particular attention is devoted to the assessment of the Georgian competition law framework and enforcement practice in comparison with the experience of the European Union. The study finds that the evaluation of abusive conduct in Georgia often relies on formalistic approaches and insufficiently considers the actual economic effects of the conduct in question. In this regard, the thesis proposes recommendations aimed at strengthening effects-based analysis, further harmonizing Georgian competition policy with EU standards, and enhancing legal mechanisms for the protection of SMEs.

The thesis concludes that effective competition law is not merely an instrument for controlling dominant economic operators, but also a crucial legal mechanism for ensuring economic fairness, inclusive growth, and sustainable development. Protecting SMEs from the abuse of dominant market power contributes to maintaining a healthy competitive environment, which represents an essential precondition for Georgia's economic development and its process of approximation with the European Union.

The research employs historical, comparative legal, systemic, and situational analysis methods in order to address the research problem.

Keywords: dominant position; abuse of dominance; competition law; small and medium-sized enterprises.